



*საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

ეკონომიკის და ბიზნესის მართვის დეპარტამენტი

**ს ა დ ო ქ ტ ო რ ო    პ რ ო გ რ ა მ ა**

**ე კ ო ნ ო მ ი კ ა**

**E c o n o m i c s**

*მიმართულება: სოციალური მეცნიერებები*

ქუთაისი  
2011

**პროგრამის სახელწოდება:** ეკონომიკა  
Economics

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია (აკადემიური ხარისხი):** ეკონომიკის დოქტორი  
Doctor of Economics

**პროგრამის ხელმძღვანელი:** თამილა არნანია-კეპულაძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 180 კრედიტი. მათ შორის:  
60 კრედიტი სასწავლო კომპონენტი  
120 კრედიტი კვლევითი კომპონენტი.

**სწავლების ენა:** ქართული

## **საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა და მიზანი**

### *პროგრამის აქტუალობა:*

გლობალიზაციისა და საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირების პროცესში, როცა ფართოდება საქართველოს გარე ეკონომიკური, კულტურული, მეცნიერული და სხვ. კავშირები, აუცილებელი ხდება ახალი ტიპის, სპეციალური ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანილი მკვლევარ-მეცნიერთა, აკადემიური, სახელმწიფო და ბიზნეს მოღვაწეთა ფორმირება. ყოველივე ეს პირველ რიგში ეხება ეკონომიკის მიმართულების სპეციალისტების მომზადებას.

ეკონომიკა (Economics) წარმოადგენს ეკონომიკური განათლების ქვაკუთხედს, რომლის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ემყარება თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ისეთი დარგები, როგორცაა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, შრომის ეკონომიკა, დარგობრივი ეკონომიკა და მრავალი სხვა. გარდა ამისა, მრავალი ეკონომიკური კონცეფცია (მაგ. კლასიკური, კეინზური და სხვ.) სხვადასხვა პერიოდში წარმოადგენდა და წარმოადგენს სხვადასხვა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველს.

ითვალისწინებენ რა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის, ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავების, წარმოების დარგების განვითარებისა და საწარმოების ეფექტური ფუნქციონირებისათვის ეკონომიკური მიმართულების სპეციალისტთა მნიშვნელობას, მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტები (ჰარვარდის უნივერსიტეტი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტი, კალიფორნიის უნივერსიტეტი, ოსაკას უნივერსიტეტი და სხვ.) დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეკონომიკის (Economics-ის) მიმართულების დოქტორანტების მომზადებას.

გარდა ამისა, „ეკონომიკა“-ში (Economics) ახალი სადოქტორო პროგრამის დანერგვა განპირობებულია იმ ცვლილებებით, რომლებიც მიმდინარეობს ეკონომიკური მეცნიერების საერთაშორისო სივრცეში და იმ ახალი მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობით, რაც თანამედროვე პერიოდში ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დგება. კერძოდ:

– XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე კიდევ უფრო გამწვავდა ნეოკლასიკური მიმართულების მეთოდოლოგიური საფუძვლების კრიტიკა სხვა ეკონომიკური სკოლებისა და მიმდინარეობების (ინსტიტუციური, ნეოინსტიტუციური, ნეოკეიზური, ევოლუციური, ავსტრიული, ფემინისტური, გენდერული და სხვა) მხრიდან. ეს კრიტიკა ძირითადად და სამართლიანად მიმართულია ნეოკლასიკური ეკონომიკური მეთოდოლოგიის ვიწრო ფარგლებისა და აბსტრაგირების მეტისმეტად მაღალი დონის წინააღმდეგ.

– ბოლო ათწლეულებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა და, მათ შორის, ეკონომიკურ მეცნიერებათა სივრცეში, მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე. ეს ცვლილებები დაკავშირებულია დისციპლინათაშორისი მიდგომის მნიშვნელობის გაძლიერებასთან.

დისციპლინათაშორისი მიდგომა, რომელიც თანამედროვე პირობებში ითვლება კვლევისა და ახალი ცოდნის მიღების ყველაზე პროგრესულ და ეფექტურ საშუალებად, წარმოადგენს განსხვავებული დისციპლინათა შესაყარზე

ან ერთი დისციპლინის ფარგლებში სხვადასხვა დისციპლინათა კვლევის მეთოდების, მეთოდოლოგიებისა და თეორიების შერწყმას ახალი ცოდნის და არსებული (ან შექმნილი) ცოდნის უფრო სიღრმისეული დონის მიღების მიზნით.

ეკონომიკური მეცნიერებისათვის ეს გამოვლინდება სხვა სოციალური მეცნიერების, და პირველ რიგში სოციოლოგიის და, აგრეთვე, ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდების, მეთოდოლოგიური მიდგომების და ამ დისციპლინების ფარგლებში შემუშავებული თეორიების გამოყენებაში ეკონომიკური პრობლემების უფრო სიღრმისეული და ყოველმხრივი ანალიზისათვის, ახალი ეკონომიკური დოქტრინებისა და მოდელების შემუშავების ან/და უკვე არსებული კონცეფციების სრულყოფისათვის.

ზემოთაღნიშნულმა მიზეზებმა გამოიწვია ეკონომიკური მეცნიერების თეორიული კვლევის ფარგლების მნიშვნელოვანი გაფართოება (საუბარი არავითარ შემთხვევაში არ მიმდინარეობს რედუქციონიზმზე) და ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების კვლევა-ანალიზისთვის მათი გამოყენების გაძლიერება, რაც, ბუნებრივია, მოითხოვს ახალი ტიპის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორების ჩამოყალიბებას.

– 21-ე საუკუნეში გაძლიერდა მეცნიერებათა ყველა დარგში თეორიული დამუშავებების პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობა და აუცილებლობა. ეს ტენდენცია მნიშვნელოვან წილად შეეხო ეკონომიკურ მეცნიერებას (Economics) და გამოიხატება ეკონომიკური მეცნიერების პრაქტიკული ფუნქციის გაძლიერებასა და მისი გამოყენებითი (applied) მნიშვნელობის გაფართოებაში.

ყოველივე ამით არის განპირობებული „ეკონომიკა“-ში (Economics) მოცემული სადოქტორო პროგრამის აქტუალურობა და მნიშვნელობა.

*პროგრამის მიზანი:*

სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ეკონომიკაში, რომლებიც აღჭურვილი არიან ეკონომიკური კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიით, კარგად ერკვევიან ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ტენდენციებში, თავისი თეორიული მომზადებითა და შემოქმედებითი უნარის დონით შეესაბამებიან საერთაშორისო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და დამოუკიდებლად შეუძლიათ სამეცნიერო-ანალიტიკური, სასწავლო-პედაგოგიური, ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ბიზნეს საქმიანობის განხორციელება ქვეყნისა და რეგიონის მდგრად ეკონომიკურ განვითარების ხელშეწყობისთვის.

*პროგრამის ამოცანები:*

- ეკონომიკური მეცნიერების მრავალმხრივი და სიღრმისეული თეორიული ცოდნა და ამ ცოდნის გამოყენება სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო-პედაგოგიურ და ბიზნეს საქმიანობის წარმართვაში საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად და სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნების რეალიზებისათვის;
- ეკონომიკური კვლევის თანამედროვე მეთოდების მაღალ დონეზე დაუფლება და ფართო გამოყენება სამეცნიერო-ანალიტიკურ და კვლევით საქმიანობაში ეკონომიკური მოვლენების ანალიზისა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებისათვის
- კრეატიული და ინოვაციური სამეცნიერო საქმიანობის წარმართვისა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება;
- ანალიტიკურ-სამეცნიერო, საგანმანათლებლო-სასწავლო და ორგანიზაციულ-ეკონომიკური საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების უნარ-ჩვევების განვითარება;
- სამეცნიერო დისკუსიებში მონაწილეობის მიღებისა და საკუთარი მეცნიერული შეხედულებათა გადმოცემისა და დაცვის, კრიტიკულ შენიშვნებზე ადეკვატური რეაგირების უნარის გაღრმავება;
- კვლევის შედეგების რეფერირებადი პუბლიკაციების აუცილებელი სტანდარტების მოთხოვნის შესაბამის დონეზე გადმოცემის უნარის განვითარება.

**კვლევის სავარაუდო თემატიკა:**

- მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და მისი თავისებურებანი ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე

- უმუშევრობის და დასაქმების პრობლემები საქართველოში და მათ გადაჭრაზე მიმართული მაკროეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის საკითხები
- კონკურენცია შრომის შიგა ბაზარზე/კონკურენცია სამუშაო ადგილზე: ეკონომიკური არსი და როლი ბიზნეს სტრუქტურების ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებაში
- შრომის მოტივაცია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია და მასზე ზემოქმედების მიკროეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებანი ორგანიზაციის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით
- სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე შეხედულებათა მეტამორფოზები და მისი მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში
- ეკონომიკის პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პრობლემები
- ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების სოციალურ-ეკონომიკური არსი, როლი და გავლენა ეკონომიკური აგენტების ქცევაზე და ბიზნეს სტრუქტურების ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებაში
- ეკონომიკური პრობლემების გენდერული ასპექტები
- სოციალური კაპიტალის სოციალურ-ეკონომიკური ბუნება და ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხები
- ეკონომიკური ზრდისა და ეროვნული სიმდიდრის პრობლემატიკა \*
- მაკროეკონომიკის ძირითადი პრობლემები, სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესში მისი სტაბილურობის უზრუნველყოფა \*
- მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციების, საქართველოს როლისა და ადგილის შესწავლა გლობალიზაციის პირობებში \*
- სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მატერიალური, ფინანსური და სხვა სახის ინსტრუმენტების მოქმედება \*
- ეროვნული წარმოების ზრდის, უმუშევრობის, ინფლაციის საკითხების, საერთო წონასწორობის მიღების პრობლემათა კვლევა \*
- მცირე ბიზნესის როლი და ადგილი სამეწარმეო სექტორში განვითარების პერსპექტივები საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით \*
- საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტურობის ამაღლების პრობლემები\*
- რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დიფერენციაცია და რეგიონული პოლიტიკის პრობლემები \*
- საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესის მაკროეკონომიკური ამოცანები \*

---

\* ვარსკლავით აღნიშნულ თემის შესრულებას უხელმძღვანელებს სრ. პროფესორი ნ.ჩიხლაძე

### **სწავლის შედეგები:**

„ეკონომიკა“-ში სადოქტორო პროგრამის მიზნების მიღწევის საფუძველზე მიღებული იქნება სწავლის შემდეგი შედეგები:

**ცოდნა და გაცნობიერება.** შეიძენს სისტემურ და სიღრმისეულ ცოდნას ეკონომიკური პროცესების მრავალფეროვნებისა და განვითარების კანონზომიერებათა შესახებ; მიიღებს სიღრმისეულ ცოდნას თანამედროვე უცხოური და მშობლიური ეკონომიკური მეცნიერების მიღწევების შესახებ, გაერკვევა ეკონომიკური მეცნიერების მსოფლიო ტენდენციებში და სხვადასხვა ეკონომიკური მიმართულების კონცეპტუალურ მიდგომებში, გააცნობიერებს ეკონომიკური კვლევის პროგრესულ მეთოდოლოგიას და მ.შ. დისციპლინათაშორის მიდგომას, და ამ ცოდნის საფუძველზე შეძლებს საკუთარი შეხედულებათა ჩამოყალიბებასა და გადმოცემას საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე; შეძლებს სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის წარმართვას საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად;

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.** მიღებულ ცოდნას იყენებს საკუთარი კვლევის პროცესში, ეკონომიკური მოვლენების ანალიზისა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებისათვის, განსაზღვრავს საკვლევი პრობლემის შესწავლის თანმიმდევრულობას, კვლევის არსებული მეთოდებიდან შეარჩევს კონკრეტული კვლევის მიზნების შესაბამის მეთოდებს და შეიმუშავებს კვლევის ისეთ მეთოდოლოგიას, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება დასახული საკვლევი მიზნების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის ჩამოყალიბებას და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

**დასკვნის უნარი.** საკვლევი პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და კრიტიკული გააზრების, კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება-განვითარების საფუძველზე და ეკონომიკური მეცნიერების მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, ახორციელებს საკვლევი პრობლემის კრიტიკულ გააზრებას და დასკვნის გაკეთებას მისი გადაჭრისათვის ეფექტური გზების გამოძებნის შესახებ. ეკონომიკური მეცნიერების ინსტრუმენტარის გამოყენებით ახდენს სამეურნეო (ბიზნეს) პრაქტიკის მიკრო- და მაკროეკონომიკურ ანალიზს და, ქვეყნის და რეგიონის სტრატეგიული გეგმის გათვალისწინებით, დასკვნის სახით დამოუკიდებლად შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის.

**კომუნიკაციის უნარი.** შეუძლია არსებული ეკონომიკური ცოდნის ახალ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და ნათლად წარმოჩენა; სამეცნიერო დისკუსიებში, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა და საკუთარი მეცნიერული შეხედულებათა გამოთქმა მ.შ. უცხოურ ენაზე; თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიების გამოყენება და საჭირო ინფორმაციის მიღება და ახლად მიღებული ცოდნის კონკრეტულ წინადადებებში გადაყვანა.

**სწავლის უნარი.** შეუძლია იზრუნოს მიღებული ცოდნის მუდმივ განახლება-გაფართოებაზე და ამ ცოდნის გააზრება-გადასინჯვის საფუძველზე ახალი იდეების ჩამოყალიბება, ახალი ცოდნის დამოუკიდებლად აკუმულირება და გადმოცემა; გააჩნია სისტემური ცოდნა და ანალიტიკურ უნარი საკუთარი საქმიანობის განხორციელებისათვის არა მრავალი ფაქტებისა და საბაზო მონაცემების დამახსოვრების, არამედ მათი ანალიზისა და მიღებული შედეგების შემდგომი სინთეზირების საფუძველზე.

**ღირებულებები.** გააჩნია ზოგადსაკაცობრიო, ეროვნული და მეცნიერული ღირებულებების ცხოვრებაში გატარებისა და დამკვიდრებისაკენ მუდმივი სწრაფვის უნარი და თავის მეცნიერულ-თეორიულ, პრაქტიკულ და პედაგოგიურ საქმიანობაში ახორციელებს ამ ღირებულებების გამომჟღავნებას, განსაზღვრასა და დანერგვას. მისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ღირებულებები, როგორცაა პროფესიული და ადამიანური ეთიკა, მეცნიერული

ობიექტურობა, კოლეგიალურობა და თანამშრომლობა, მეცნიერული და ადამიანური პატიოსნება, თვითგანვითარებისა და თვითრეალიზაციისაკენ მუდმივი სწრაფვა და ა.შ.

**კომპეტენციათა განაწილება სასწავლო გეგმის კომპონენტების მიხედვით**

კომპეტენცია	სასწავლო კომპონენტი				კვლევითი კომპონენტი				
	საუნივერსიტეტო საგნები	ზოგადეკონომიკური საგნები	სპეციალიზაციის კონცენტრაციები	სემინარები	სტატების გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა	I კოლოქიუმი	II კოლოქიუმი	დისერტაციის წინასწარი განხილვა	დისერტაციის შესრულება და დაცვა
1. ცოდნა და გაცნობიერება	X	X	X	X					
2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	X	X	X	X	X	X	X	X	X
3. დასკვნის უნარი	X	X	X	X	X	X	X	X	X
4. კომუნიკაციის უნარი	X		X	X	X	X	X	X	X
5. სწავლის უნარი	X	X	X	X					
6. ღირებულებები	X	X	X	X	X	X	X	X	X

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

სწავლის შედეგების მიღწევის დროს გამოიყენება ინტერაქტიური სწავლების თანამედროვე მეთოდები და ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამის სასწავლო გეგმით. კერძოდ:

სასწავლო კურსების შესწავლა ხორციელდება როგორც თეორიულ მეცადინეობებზე, ისე ჯგუფური მუშაობის დროს და დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით (რეკომენდებული ძირითადი სახელმძღვანელოების, დამატებითი ლიტერატურის დამუშავების, აგრეთვე ინტერნეტ-რესურსების გამოყენების საფუძველზე). სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თეორიულ-მიმოხილვითი ლექციების, დისკუსიების ჩატარებას, სასემინარო მოხსენების მომზადება-პრეზენტაციას, პრაქტიკული სავარჯიშოებისა თუ მიზნობრივი წერიტი დავალების შესრულებას და ა.შ.

**თეორიულ მეცადინეობათა დანიშნულებაა** - სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად თემათა ისტორიულ-თეორიულ ჭრილში განხილვა და დოქტორანტის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციით. სალექციო კურსები ორიენტირებულია დარგის თეორიული კვლევისა და აღნიშნულ სფეროში დაგროვილი გამოცდილების შესწავლაზე. ლექციები იკითხება პრობლემურ ასპექტში, ე.ი. ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე და მათ ანალიზზე.

**ჯგუფური მუშაობების დანიშნულებაა** - დოქტორანტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება. შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო თემატიკით გათვალისწინებული სხვადასხვა პრაქტიკული თუ პრობლემატური სიტუაციების ანალიზი.

**დისკუსიების** დანიშნულებაა თეორიულ ლექციებზე შეძენილი ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკულ უნარ-ჩვევათა განმტკიცება, ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევათა გამომუშავება, რაც დოქტორანტს მნიშვნელოვნად გაუადვილებს საკუთარი ხედვის გამოკვეთასა და რიგი საკითხებისადმი პროფესიული მიდგომის შემუშავებას;

**სემინარული მეცადინეობა** ითვალისწინებს სემინარზე განსახილველი პრობლემური საკითხის საფუძვლიანად დამუშავებასა და მოხსენების მომზადებას. სასემინარო მოხსენებისათვის პროგრამის ფარგლებში შეირჩევა სხვადასხვა აქტუალური საკითხები, რომელთა დამუშავება საჭიროებს ლექციებზე გაშუქებული კონცეფციებისა და დებულებების სათანადოდ გააზრებას, მითითებული ლიტერატურისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გაცნობა-ანალიზისა და საკითხისადმი საკუთარი პოზიციის გამოკვეთას. სემინარული მუშაობისას უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად მართებულად აღიქვამს დოქტორანტი შერჩეულ პრობლემატიკას ან/და დამოუკიდებლად მომზადებულ მასალას.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები.

დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. სხვა პირობები დგინდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

სადოქტორო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე ფაკულტეტზე სემინარი შეიძლება შეიქმნას სადოქტორო პროგრამების გაერთიანების შედეგად.

სემინარისთვის მომზადებული მოხსენება უნდა მოიცავდეს უცხოურ ენაზე დაწერილ და სემინარზე წარმოდგენის ნაწილ (არანაკლებ 10%).

**კოლოკვიუმების** ჩატარების დროს ხდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის პერიოდული შეფასება და მონიტორინგი. კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომი არის დისერტაციის ნაწილი. დოქტორანტი პროგრამის ხელმძღვანელს (სადისერტაციო თემის ხელმძღვანელს) წარუდგენს კოლოკვიუმზე გამოსატანი ნაშრომის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს.

შესაძლებელია ნაშრომი სარეცენზიოდ დაგაეგზავნოს შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე პირს/პირებს ან დარგის აღიარებულ სპეციალისტებს.

კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომი უნდა მოიცავდეს უცხოურ ენაზე დაწერილ და კოლოკვიუმზე წარმოდგენილ ნაწილ (არანაკლებ 15%).

**პრაქტიკა** სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულია პედაგოგიური პრაქტიკის (პროფესორის ასისტენტობა) გავლა სამეცნიერო ხელმძღვანელის და პედაგოგიკის ფაკულტეტის წარმომადგენლის და/ან დარგის აღიარებული სპეციალისტის უშუალო მონაწილეობით. აღნიშნულის მიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დოქტორანტის, როგორც მომავალი პედაგოგის ჩამოყალიბებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებას.

**კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:**

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს გააჩნია ფართო კარიერული შესაძლებლობები, რომელიც მოიცავს დასაქმებას სახელმწიფო, მუნიციპალურ და კერძო სექტორებში (საქართველო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და მის რეგიონულ განყოფილებებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში და მის რეგიონულ რგოლებში, საქართველოს პარლამენტის აპარატში და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მმართველობითი ორგანოები და ა.შ.); ბიზნესის და სამეწარმეო სექტორში (მაგ. ბანკებში, საკრედიტო ორგანიზაციებში, საბროკერო ფირმებში, კონსალტინგურ ცენტრებში და ა.შ.), საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ეკონომიკის (Economics) სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები ეფუძნება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრულია აწესი აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებაში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტურანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ (<http://www.atsu.edu.ge/index.html>) და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის „დოქტურანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებში“ ([http://www.atsu.edu.ge/geo/siaxleebi/sazogad\\_mecn\\_fakult.doqt\\_debuleba.pdf](http://www.atsu.edu.ge/geo/siaxleebi/sazogad_mecn_fakult.doqt_debuleba.pdf)) და მოიცავს შემდეგ აუცილებელ მინიმალურ მოთხოვნებს:

- უნდა იყოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომირებული სპეციალისტი;
- მაღალ დონეზე (B2 დონეზე) ფლობდეს უცხო (ინგლისურის, გერმანულის ან ფრანგული) ენას
- წარმატებით უნდა ჩააბაროს სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდები

#### **პროგრამის სასწავლო კომპონენტის აღწერა:**

ეკონომიკაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი. პროგრამა აერთიანებს სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებს, რომლებიც თავის მხრივ, კიდევ იყოფა ცალკეულ ელემენტებად.

აქედან:

*სასწავლო კომპონენტი* შეადგენს 60 კრედიტს და მოიცავს

საუნივერსიტეტო და ზოგადეკონომიკურ სავალდებულო დისციპლინებს - 15 კრედიტი,

ზოგადეკონომიკურ არჩევით საგნებს - 6 კრედიტი,

სპეციალობის სავალდებულო საგნებს - 20 კრედიტი,

დისერტანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ საგნებს - 9 კრედიტი,

პედაგოგიურ პრაქტიკას - 5 კრედიტი

სემინარებს - 10 კრედიტი.

*სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი* შეადგენს 120 კრედიტს და მოიცავს

სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებულ სტატიების გამოქვეყნებას და/ან კონფერენციებში

მონაწილეობას - 30 კრედიტი,

სამ კოლოქვიუმს - 30 კრედიტი,

სადოქტორო ნაშრომის შესრულებას და დაცვას - 60 კრედიტი.



## სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა:

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში			ლ/ჯგ	სემესტრი					
			სულ	საკ	დამ		I	II	III	IV	V	VI
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
<b>სასწავლო კომპონენტი</b>												
<b>1. საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები</b>												
1.1	<i>სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები</i>	5	125	30	95	1/1	x					
1.2	<i>პედაგოგიური პრაქტიკა (პროფესორის ასისტენტობა)</i>	5	125	45	80	2/1		x				
<i>სულ</i>		<b>10</b>	<b>250</b>	<b>75</b>	<b>175</b>							
<b>2. ზოგადეკონომიკური სავალდებულო კურსი</b>												
2.1	<i>ეკონომიკის მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები</i>	5	125	30	95	1/1	x					
<i>სულ</i>		<b>5</b>	<b>125</b>	<b>30</b>	<b>95</b>							
<b>3. ზოგადეკონომიკური არჩევითი კურსები*</b>												
3.1	<i>გადაწყვეტილებების მიღების რაოდენობრივი მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში</i>	6	150	30	120	1/1	x					
3.2	<i>ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები</i>	6	150	30	120	1/1	x					
3.3	<i>რეგიონული ეკონომიკა და ეკონომიკური პოლიტიკა</i>	6	150	30	120	1/1	x					
<i>სულ</i>		<b>6</b>	<b>150</b>	<b>30</b>	<b>120</b>	-						

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში			ლ/პ/ჯგ	სემესტრი					
			სულ	საკ	დამ		I	II	III	IV	V	VI
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
<b>4. სპეციალობის სავალდებულო კურსები</b>												
4.1	მიკროეკონომიკა 3	7	175	30	145	1/1	x					
4.2	მაკროეკონომიკა 3	7	150	30	120	1/1	x					
4.3	ინსტიტუციური ეკონომიკა	6	175	30	145	1/1		x				
<i>სულ</i>		<b>20</b>	<b>500</b>	<b>90</b>	<b>410</b>							
<b>5. სპეციალობის არჩევითი კურსი**</b>												
5.1.1	<i>არჩევითი კურსი</i> შრომის ბაზრის ეკონომიკური თეორია, ეკონომიკური ქცევის თეორია, გენდერული ეკონომიკა, მცირე და საშუალო ბიზნესის ეკონომიკისა და მართვის პრობლემები, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები და სატრანსფერო პოლიტიკა, სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის თეორიული საფუძვლები და სხვ.	4	100	30	70	1/1		x				
		5	125	30	85	1/1			x			
<i>სულ, არჩევითი</i>		<b>9</b>	<b>225</b>	<b>60</b>	<b>155</b>							
<b>6. სემინარები***</b>												
6.1.	სემინარი	5	125	-	-			x				
6.2	სემინარი	5	125	-	-				x			
<i>სულ</i>		<b>10</b>	<b>250</b>	<b>-</b>	<b>-</b>							
<i>სულ, სასაწავლო</i>		<b>60</b>	<b>1500</b>									

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში			ლ/პ/ჯგ	სემესტრი					
			სულ	საკ	დამ		I	II	III	IV	V	VI
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
<b>კვლევითი კომპონენტი</b>												
1	დისერტაციასთან დაკავშირებული სტატიების გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა	30	375						10	10	10	
2	დოქტორანტის I კოლოქვიუმი	10	375					10				
3	დოქტორანტის II კოლოქვიუმი	10	375						10			
4	დოქტორანტის III კოლოქვიუმი	10	375							10		
5	სადოქტორო დისერტაციის შესრულება და დაცვა	60	1500						10	10	10	30
<i>სულ, კვლევითი</i>		<b>120</b>	<b>3000</b>									
<i>კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით</i>							<b>30</b>	<b>30</b>	<b>40</b>	<b>30</b>	<b>20</b>	<b>30</b>
<i>სულ, სასწავლო გეგმით</i>		<b>180</b>	<b>4500</b>									

\* ზოგადეკონომიკური საგნებიდან დოქტორანტი ირჩევს ერთს.

\*\* სპეციალობის არჩევითი კურსი დაზუსტება მოხდება დოქტორანტის ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის ფარგლებში საკვლევო თემატიკის მიხედვით

\*\*\* სემინარების თემატიკის დაზუსტება მოხდება ყოველსემესტრულად, ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

### **დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

შეფასების სისტემის ზოგადი მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის ცალკეული კომპონენტის შესრულება, მიღწეული შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით.

შეფასების ძირითადი პრინციპებია:

- **გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპი** - შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და წინასწარი ინფორმირებულობა;
- **სამართლიანობისა და საყოველთაოობის პრინციპი** - გამოვლენილი ცოდნის შეფასების დროს ყველა დოქტორანტის მიმართ ერთიანი, წინასწარ განსაზღვრული პრინციპებით მიდგომა; დოქტორანტის *აკადემიური მოსწრების* შეფასება ცალკეულ დისციპლინებში შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით, როგორებიცაა: შუალედური გამოცდები, ფინალური გამოცდა, მიზნობრივი წერითი ნაშრომის შესრულება, ინდივიდუალური დავალება და სხვა. შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება ცალკეულ დისციპლინათა სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგნების სილაბუსებში.

*პედაგოგიური პრაქტიკის* შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის #76 (10/11) დადგენილებით განსაზღვრული პედაგოგიური პრაქტიკის უწყისის ფორმის მიხედვით.

*სემინარების* და *კოლოქიუმების* შეფასების დროს დგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც მიეთითება დოქტორანტის მიერ მიღწეული წარმატებები. შეფასების დროს ყურადღება მახვილდება წარმოდგენილი მოხსენების შესრულების დონეზე, ნაშრომის პრეზენტაციისა და დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების ხარისხზე და ა.შ.

*სადისერტაციო ნაშრომის* საბოლოო შეფასება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის #17 (09/10) დადგენილებით „სადოქტორო დისერტაციის შეფასების კრიტერიუმების“ შესახებ.

*სხვა* სასწავლო თუ კვლევითი აქტივობ(ებ)ის (მაგ. სტატიის) მიხედვით კრედიტის ათვისება დასტურდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.

სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კომპონენტის კრედიტის აღიარება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

### **პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა:**

პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზას წარმოადგენს:

- აწსუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკა;
- აწსუ-ის ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტის ბიბლიოთეკა;
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი ბიბლიოთეკა;
- სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი ბიბლიოთეკა;
- ქუთაისის საჯარო/სამეცნიერო უნივერსალური ბიბლიოთეკა;
- ქუთაისის სახელმწიფო არქივი;
- აწსუ-ს კომპიუტერული ლაბორატორიები;

## მისაღები დოქტორანტების შესაძლო ოდენობა:

აწსუ-ის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის აკადემიური და მატერიალური რესურსები საშუალებას იძლევა ეკონომიკის (Economics) სადოქტორო პროგრამაზე მიღებულ იქნას 5 დოქტორანტი.

### საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი აკადემიური პერსონალი

1. **თამილა არნანია-კეპულაძე** ე.მ.კ., ეკონომიკის დოქტორი, სრული პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი), 593 969069, +420 777 296265; [tarnania@rambler.ru](mailto:tarnania@rambler.ru)
2. **ბაკურაძე აკაკი** - ე.მ.კ., ეკონომიკის დოქტორი, აწსუ ასოცირებული პროფესორი, 577131831, [ak\\_bakuradze@mail.ru](mailto:ak_bakuradze@mail.ru) ;
3. **ბასილაძე იმერი** - პ.მ.კ., პედაგოგიკის დოქტორი, აწსუ ასოცირებული პროფესორი, 577131820, [i.basiladze@mail.ru](mailto:i.basiladze@mail.ru);
4. **სურგულაძე თეიმურაზ** - მ.მ.დ., მათემატიკის დოქტორი, აწსუ ასოცირებული პროფესორი, , 593600675, [temsurg@yahoo.com](mailto:temsurg@yahoo.com);
5. **ნამიჭეიშვილი რამაზ** - ე.მ.კ., ეკონომიკის დოქტორი, აწსუ ასოცირებული პროფესორი, 593368559; [ramaz-namicheishvili2@rambler.ru](mailto:ramaz-namicheishvili2@rambler.ru) ; [namicheishvili2011@yandex.ru](mailto:namicheishvili2011@yandex.ru) .;
6. **ჩიხლაძე ნიკო** - ე.მ.დ., ეკონომიკის დოქტორი, ქუ სრული პროფესორი (მოწვეული სპეციალისტი).